ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** პარასკევი, 5 ოქტომბერი № 1601

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკებაც ?ე ციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе»**. **ტელეფონი № 372.**

კვირას, 7 ოქტო **ქართული თეატრი** მბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

პირველად ახალი პიესა

I

გაკრულებული იმედები

კომედია 2 მოქ. თხზ. ნ. აზიანისა.

II

მ შ ვ ე ნ ი ე რ ი

ელენეს მაძიებელი

ფარსი 2 მოქ. გადმოკეთებული ა. ცაგარლის მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, გივიშვილი და სხ.; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, იმედაშვილი და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე. **ფასები ჩვეულებრივია.**

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 11 ოქტომბერს: მზადდება „ცხოვრება“ დრ. 2 მოქ., „ჯადო სიყვარულისა“ დრ. 4 მოქ.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.**

საფაბრიკო საწყობი

ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა

გ. ი. პალლიზენ

რჟევის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკებისა.

ტფილისი, გოლოვინის პროსპ. მანთაშევის სახლში. ✿ **ბაქო**, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი, მუნდშტუკის, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი და საკანცელარიო საგნები. **ტელეფონი** № 679. (ნ. 0—16)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 9—10 საათამდე.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა 11—12 საათამდე,

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირის ავათმყოფნი 10—11.

ა. ზ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 ს.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 10—11 საათამდე.

ექ. ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი 12—1 საათამდე.

ე. ვ. ფეოდოროვი—შინაგანი და საბავშვო 9—10 საათამდე.

ვ. ლ. მარქოვიჩი—სადოსტაქრო $12^1/_2$—$1^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.

ი. დ. ბებთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი $1^1/_2$—2 საათამდე.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10 12 ს-დე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების შენობაში, 9 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზე გაიხსნება საოჯახო მრეწველობის მოღვაწეთა კრება. მსურველთ შეუძლიანთ ყოველ დღე, დილის 11 საათიდან საღამოს 3 საათამდე, კრების ბიუროს მდივნის ვ. ა. სოკოლოვისაგან ცნობები მიიღონ (მთავარ-მართებლის კანცელარიაში). ამას გარდა ცნობების მიღება კნეინა მ. მ. თუმანიშვილისაგანაც შეიძლება (ბარიატინსკის ქუჩა, საკუთარი სახლი) საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე. 3—2)

ნაფიცი ვექილის თანაშემწე

ივანე ივანესძე

ზურაბიშვილი

გადავიდა ახალს სადგომში: Елисаветинская ул. (уголъ Кирочной) № 112. (5—4)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

მკურნალი-ქალი

მარიამ ბაქრაძე

იღებს ავადმყოფ ბავშვებს ყოველ დღე დილით 1-დან 3 საათამდე. ოლგინის ქუჩა, № 13. (10—8)

ე ქ ი მ ი

პ. მ. ელიოზიშვილი

ვიღებ ყოველ დღე ავადმყოფებს (შინაგანი და საბავშო ავადმყოფობით) დილის 11—1 და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, პავლოვსკის სახლი № 92.

ისტორიული თხზულება (რუსულად)

ზ. ავალიშვილისა

საქართველოს შეერთება რუსეთთან

ფასი 1 მან. 50 კაპ.

გამოცემის საწყობი „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაშია. ისყიდება იქვე და ლ ხიდდეკელთან. წიგნი შეიძლება დაიბარონ ფასის ზედ-დადებით.

ცინკოგრაფია

წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობისა.

(ვანქის დიდი ქ., № 27. ტელეფონი № 372)

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატიდან. (1000—31)

ქუთაისში, ვ. ბეჟანიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

მთარგმნელი საზოგადოება

—

თუ მართლა დამწიფდა ჩვენში ის აზრი, რომ ჩვენს ხალხს და საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ შესაფერი გონებრივი საზრდო და თუ ამ აზრის განხორციელებისათვის კარგი წიგნების თარგმნა მიგვაჩნია საუკეთესო იარაღად, აუცილებელად საჭიროა დღესვე შევუდგეთ ამ საქმეს. ხოლო ჩვენს მოქმედებას რაიმე გეგმა უნდა ჰქონდეს, მთარგმნელი საზოგადოების, ორგანიზაცია უნდა იყოს გამორკვეული რათა ამ ორგანიზაციის საშუალებით მთარგმნელთ შრომის სისტემა და წყობრობა მიეცეს.

ჩვენ გვსურს მოკლედ აღვნიშნოთ, როგორ გვესმის მთარგმნელი საზოგადოების ორგანიზაცია. ამ ჩვენს მოსაზრებას, რასაკვირველია, არავითარი გადამწყვეტი ხასიათი არ ექმნება. საქმის ფეხზე დაყენებისათვის საერთო მოლაპარაკებაა საჭირო და ორგანიზაციის საერთო შემუშავება. ვიწყებთ ამაზე ლაპარაკს, რადგან ეს საქმე ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმედ მიგვაჩნია.

თავდაპირველად უნდა ვიცოდეთ, რა წიგნების თარგმნაა საჭირო ჩვენთვის, რა საზრდო უნდა მივცეთ ჩვენს მკითხველს და ვინ არის და ვინ უნდა იყოს ეს ჩვენი მკითხველი? მეორე გადასაწყვეტი კითხვა: როგორ უნდა ითარგმნებოდეს წიგნები, როგორ უნდა იყოს განაწილებული შრომა მთარგმნელთ შორის? მესამე კითხვა: საიდან უნდა გამოჩნდეს საქმის წარმოებისათვის საჭირო ფული, რადგან უფულოდ ყოველი დაწყებული საქმე სუსტი და უღონო იქმნება. ეს სამი კითხვა უნდა ჰქონდეს მხედველობაში იმ წრეს, რომელიც იკისრებს ამ საქმეს.

ყველა ამისათვის რომელიმე ცენტრში, თუნდ ტფილისში, წრე უნდა დაარსდეს. ყოველი წევრი მთარგმნელია. ყოველ მთარგმნელს აქვს ხმა იმ კითხვის გადაწყვეტაში, როგორი წიგნები უნდა ითარგმნებოდნენ. ამ კითხვას სწყვეტს წრე ანუ საზოგადოება საერთო მოლაპარაკებით, ირჩევს თავის წრიდან რედაქციას, რომელსაც ექმნება მიზნად თარგმანის დაფასება და, საზოგადოთ, გადაწყვეტა იმისი, ღირსია თუ არა წარმოდგენილი შრომა დასაბეჭდათ. რედაქცია თავის მოქმედებაში, ე. ი. წარდგენილ შრომის დაფასებაში, სრულებით დამოუკიდებელია საზოგადო კრებისაგან. ამ კრებას აქვს ხმა მხოლოდ ერთ კითხვაში—რა და რა დარგის წიგნები უნდა ითარგმნებოდეს, ხოლო თარგმნის ღირსებას სწყვეტს რედაქცია.

მთარგმნელების წრეს უნდა ჰქონდეს თავისი განყოფილებები პროვინციაში. ყველგან, სადა კი მოხერხდება—ქუთაისში, ბათუმში, ბაქოში, თელავში და სხვ.—უნდა დაარსდეს თავ-თავიანთი პატარა წრეები, რომელთაც იმ გვარივე ორგანიზაცია ექმნებათ, როგორც ტფილისელ საზოგადოებას, იმ განსხვავებით კი, რომ პროვინციელ რედაქციებს არ ექმნებათ დამოუკიდებელი მოქმედების უფლება. ეს რედაქციები უგზავნიან უმთავრესს ორგანიზაციას თავიანთ მოსაზრებას შესახებ თარგმანა დარგებისა და იმათ წრეში ნათარგმნი წიგნების ღირსებისა. უკანასკნელი სიტყვა უნდა ჰქონდეს უმთავრეს ორგანიზაციის რედაქციას.

მთარგმნელ საზოგადოებას უნდა ჰქონდეს საქმის წარმოებისათვის საჭირო ფული. როცა საზოგადოება მოქმედებას დაიწყებს, საზოგადოების მოქმედება ახეირებს საქმეს. დაწყებაა ძნელი, თორემ შემდეგში კი საჭირო ფული თვით საქმის წარმოებას მოჰყვება. საიდამ გავაჩინოთ ეს ფული? საწევრო გარდასახადიდამ მაინც და მაინც დიდი თანხა ვერ შესდგება. ჩვენის აზრით, ყველა „საზოგადოების“ წრეებში უნდა იყოს არჩეული განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალება საქმისათვის საჭირო ფულის შეკრება. კომისია წარმოდგენებს გამართავს, საქველმოქმედო გასართობებს და სხვა ამგვარ საშუალებით დაეხმარება «საზოგადოებას“.

ამ რიგად, მოკლედ რომ გავიმეოროთ, „მთარგმნელ საზოგადოებას“ უმთავრესი განყოფილება ექმნება ტფილისში. თვითეულ განყოფილებას ჰყავს მთარგმნელი მშრომელი წევრები, რომელნიც ირჩევენ თავის წრიდამ სარედაქციო კომისიას და საფინანსო კომისიას. თვითეულ წრეში საერთოდ სწყვეტენ იმას, თუ რა ხასიათის წიგნი უნდა ითარგმნებოდეს. თარგმნის ღირსებას აფასებს არჩეული რედაქცია, ხოლო მის ბედს სწყვეტს (დაიბეჭდება თუ არა) უმთავრესი სარედაქციო კომისია. თვითეულ განყოფილებაში შეკრებული ფული, საფინანსო კომისიის საშუალებით, გაიგზავნება უმთავრესს საფინანსო კომისიაში, რადგან საქმის წარმოებას უნდა მოჰკიდოს ხელი ტფილისის ორგანიზაციამ.

იტყვიან, რაღ გინდათ ამ გვარი „ქვეშევრდომობა“ პროვინციელ წრეებისა, რატომ თვითეული წრე ცალკე, დამოუკიდებლად არ უნდა მოქმედობდესო? იმიტომ, ვუპასუხებთ, რომ განცალკევებით არაფერი გაკეთდება. საჭიროა საქმის ცენტრალიზაცია. რატომ, გვიპასუხებენ, პროვინციელ რედაქციებს არ უნდა ჰქონდესთ უფლება გადასწყვიტონ, ღირსია თუ არა წარდგენილი შრომა დასაბეჭდად? იმიტომ, რომ ამ კითხვის გადაწყვეტაში იმ წრეს უნდა ჰქონდეს მეტი ხმა, სადაც უფრო მეტი გამოცდილი კაცია. ამ მხრივ ჩვენი პროვინცია ჩამოუვარდება ტფილისს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ცნობილი მთარგმნელებიც ტფილისში სცხოვრობენ. რასაკვირველია, სხვანაირიც შესაძლებელია ორგანიზაციის ხასიათი. საქმის ტეხნიკა მრავალფეროვანია. ყველა ეს საერთო მოლაპარაკებით უნდა გამოირკვეს. ხოლო უმთავრესს კითხვად მაინც ის რჩება, რაც ჩვენ ამ წერილის თავში აღვნიშნეთ; რა უნდა ითარგმნებოდეს და რა მკითხველი უნდა გვყავდეს მხედველობაში?

ჩვენის აზრით, მთარგმნელმა საზოგადოებამ უნდა დააკმაყოფილოს სამგვარი მკითხველი: ხალხი, ბავშვები და საზოგადოების განათლებული ნაწილი. არც ერთ მათგანს არა აქვთ საკითხი წიგნები. ხალხი არა კმაყოფილდება ყარამანიანით და არსენას ლექსებით. ბავშვებს თითქმის არაფერი აქვთ წასაკითხი. ან-ბანს ისწავლიან თუ არა, რუსულ წიგნებს ეტანებიან. სულ არარაობას ეგეც კარგია, ხოლო უმჯობესი იქმნებოდა მათის გონების გახსნისათვის, სამშობლო ენაზედ რომ გაეგოთ ის, რაც მისაწვდომია ბავში გონებისათვის. ამგვარსავე მდგომარეობაშია განათლებული ნაწი-

ლი ჩვენი საზოგადოებისა, რომელიც არ პოულობს საზრდოს ქართულ ლიტერატურაში, ქართულს არას კითხულობს და ამ სახით, და სხვა გარემოებათა ძალდატანებითაც, ეროვნულ ნიადაგს ეცლება. დროა ყველა ამაზე ვიზრუნოთ და, გოდება-წუხილის მაგიერ, პირდაპირ საქმეს შევუდგეთ.

იკითხავენ, რა შინაარსის წიგნია საჭირო ჩვენი მკითხველის დასაკმაყოფილებლად? მსოფლიო ლიტერატურა ორ დიდ დარგად იყოფება—მეცნიერება და ხელოვნება. ჩვენ მკითხველსაც სწორედ ეს უნდა მივაწოდოთ. მხოლოდ ყველა ამისაგან გამორჩევა უნდა გამოსადეგ მასალისა. ბავშვი დიდის ყურადღებით მოგისმენთ, თუ მარტივად და გასაგებ ენით აუხსნით სხვა-და-სხვა ბუნების მოვლენათ, უამბობთ, როგორ ცხოვრობს ადამიანი დედა-მიწის ზურგზე, რა არის მზე, მიწა და სხვა ამნაირი. ამავე ყურადღებით მოგისმენს ხალხი, იმის გაჭირვებაზე და მოთხოვნილებაზე რომ დაუწყოთ საუბარი. ხოლო არც ხალხი, არც ბავშვი ყურს არ დაგიგდებს, ქადაგების და დარიგების კილოთი რომ დაუწყოთ ლაპარაკი. ისე არაფერი არ სწყინს ადამიანს, თუნდაც ბავშვია ეს ადამიანი, როდესაც თქვენ აგრძნობინებთ, რომ იმაზე გონებით მაღლა სდგახართ, და იმიტომ ვითომ და უფლება გაქვთ ქედ-მაღლურად მოექცეთ და ჭკუა დაარიგოთ. სამეცნიერო წიგნია ნათარგმნი, თუ ხელოვნური ნაწარმოები, გვქონდეს მხედველობაში ჭეშმარიტება და სილამაზე. ჭეშმარიტება არკვევს ცხოვრებას, სილამაზე ამშვენებს. ერთი აფიქრებს კაცს, მეორე აღელვებს. ჭეშმარიტი აზრი და კეთილშობილური აღფრთოვანება კაცს ადამიანად ჰხდის და აი სწორედ ის წიგნი უნდა იყოს გადმოთარგმნილი, რომელსაც შეუძლია „ადამიანობის" გაღვიძება კაცში.

ჩვენ არა გვგონია, რომ „ინტელიგენციას" რაღაც განსაკუთრებული წიგნები სჭირია. ყოველმა ჩვენებურმა მკითხველმა, ხალხია იგი, ინტელიგენტი თუ ბავშვი, მეცნიერების და ხელოვნების საშუალებით უნდა შეიგნოს ის აზრი, რომ მისი „ადამიანობა" დღეს ვიწროდ არის დაკავშირებული მის „ეროვნებასთან" და რომ ამ ეროვნების დაჩაგვრა ადამიანობის დაჩაგვრაა.

წიგნი—მეცნიერულია იგი თუ ხელოვნური,—რომელიც გაგვიადვილებს ამ აზრის შეთვისებას, უნდა ითარგმნებოდეს და ვრცელდებოდეს ჩვენ მკითხველ საზოგადოებაში.

დაწვრილებით განმარტება ყველა ამ კითხვებისა უნდა იკისროს მომავალ მთარგმნელთა ორგანიზაციამ.

არჩილ ჯორჯაძე.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

3 ოქტომბერი

პეტერბურგი. 3 ოქტომბერს კალუგის გუბერნიიდან დაბრუნდნენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე უავგუსტოესის მეუღლით და შვილებით.

3 ოქტომბერს დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე იყო „ბლან ე ნუარ"-ის გამოფენაზე ხელოვნებათა აკადემიაში.

კიევი. დაბრუნდა შორს-აღმოსავლეთიდან საპიორების მეშვიდე ბატალიონი.

ჩისტოპოლი. ნავიგაცია მდ. კამაზე თავდება. ფოსტის გემებმა უკანასკნელი რეისი შეასრულეს დღეს.

ტიუმენი. თევზის ყველა გემები მშვიდობიანად დაბრუნდნენ მდ. ობის შესართავიდან. დამარილებული თევზი მოიტანეს 250,000 ფუთი.

ფეოდოსია. პურის ბაზარი გამოცოცხლდა: პური 8 მ. 15—8 მ. 70 კ. ქერი—57 კ. ფუთი. პური ბევრია მოტანილი. მაზრაში წვიმა იყო და ანეულებზე კარგად მოქმედა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ვოლგის მეგემეთა ერთმა ჯგუფმა ვოლგაზე გემების მიმოსვლის უკიდურესის მდგომარეობის გამო, დეპეშით სთხოვა მინისტრს პოლკ. შკოტის გამოგზავნა არსებულ უწესოების მოსასპობად.

კოპენჰაგენი. გუშინ შუაღამის 2 საათზე პერშილინთან ერთმანერთს შეეჯახნენ მობილში მიმავალი ფინლიანდიის ნავი „ლუისი" და რუსის რკინის ნავი „კონკორდია", რომელსაც ჰამბურგში სკიპიდარი მიჰქონდა. „ლუისი» მაშინვე დაიძირა. ეკიპაჟი, რომელიც 14 კაცისაგან შესდგებოდა, გადაარჩინა დანიის გემ „ლაკურმა" და ესბირგში წაიყვანა, საიდანაც ჰამბურგში უნდა წაიყვანოს გამოძიებისათვის. რუსის კაპიტანმა მოითხოვა, რომ მისი ნავი ბუქსირით ჰამბურგში წაეყვანა „ლაკურს", მაგრამ ეს ამას არ დასთანხმდა. «ლაკურზე» კი „კონკორდიას" ეკიპაჟი არ ავიდა. ფინლიანდიის ნავის კაპიტანი დაჭრილია თავში.

ნიუ-იორკი. ლაგვაირიდან მოსულ ცნობებით, ვენესუელის პრეზიდენტმა გამოსცა მანიფესტი, რომელშიაც ამბობს, რომ თუ კოლუმბია ოფიციალურად შეატყობინებს ვენესუელას, რომ მან მიჰმართა შეერთებულ შტატებს, როგორც შუამავლს, ვენესუელა სიხარულით განიხილავს, მიჰმართოს თუ არა მანაც შეერთებულ შტატებს, როგორც კოლუმბიის წარმომადგენელს. თუ კოლუმბიისაგან პასუხი არ მოვიდა, მდგომარეობა უარესდება.

პარიჟი. საბერძნეთის მეფე გუშინ ჩამოდა აქ და დღეს სადარბაზოდ იყო რესპუბლიკის პრეზიდენტთან.

დელკასემ გუშინ გახსნა წონისა და ზომის საერთო კონფერენცია.

ბეტერბორგი. ნორდენშილდი წავიდა სამხრეთ პოლიუსისაკენ. დიდძალი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა ექსპლორატორს; მასთან ერთად წავიდნენ ექსპედიციის ყველა წევრები, გარდა ლეიტენანტ დუზესა, რომელიც ფოლმუტაში ავა გემზე.

კოპენჰაგენი. ცნობა მოვიდა, რომ დანიის ახალი სახელმწიფო სესხი, რომელიც უმთავრესად საფრანგეთში განაღდდა, გადაეცემა ფინანსთა მინისტრს 5 ოქტომბერს.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

საფრანგეთი. ბერების კრებულთა უმეტესობას ჯერ ნება-რთვა არ უთხოვნია მთავრობისათვის. გაზ. «ტან»-ს შეუტყვია, მთავრობა ამ ნაირად მოექცევა ამ კრებულებსა. პირველხანებში ადმინისტრაცია არ გაერევა ამ საქმეში. სასამართლოები თითონ შეასრულებენ ახალ კანონს. სასამართლოები ამ ნაირად მოიქცევიან: თუ ხსენებული კრებულების წევრები აქეთ-იქით არ გაიფანტებიან და ისევ ერთად იცხოვრებენ, მაშინ პოლიციის სასამართლო მოსთხოვს პასუხს; ამას გარდა სამოქალაქო სასამართლო ახალი კანონის თანახმად მამულებს გაუყიდის. თუ კრებულის წევრები აქეთ-იქით წავლენ, მაშინ პროკურორი მარტო მამულებს გაუყიდის.

✡ ამას წინად მთავრობამ საპატიო ლეგიონის ორდენის დიდი კანცლერი გენერალი დავუ გადააყენა თავის თანამდებობიდან და მის მაგიერ გენერალი ფლორანტენი დანიშნა. დავუს თანაგრძნობით და პატივის-ცემით კიდევ სამი გენერალი და ერთი ვიცე-ადმირალი გავიდა სამსახურიდან. ეგონათ, დიდ გაჭირვებაში ჩავაგდებთ მთავრობასაო, იქნება დავამხოთ კიდეცაო, მაგრამ ვერაფერს ვერ გახდნენ. ეს გადამდგარი გენერლები განთქმული რეაქციონერები არიან და იმათი სამსახურიდან გასვლა კლერიკალებისა და ნაციონალისტებს გარდა, ყველას გაუხარდათ. კლერიკალურ და ნაციონალისტურმა გაზეთებმა ამაზე დიდი ამბავი ასტეხეს, პირიდან დორბლებსა ჰყრიან, ძლიერა ჰლანძღვენ მთავრობას. მეტადრე გალლიფ-რუსსოსა და იუსტიციის მინისტრს მონისს ხომ სულ მიწასთან ასწორებენ: მთლად გაარყვნეს საზოგადოებაო.

დემოკრატიულმა გაზეთებმაც მიაქციეს ყურადღება ამ ამბავს. ეს გაზეთები ამტკიცებენ, საპატიო ლეგიონის დაწესებულება აღარ შეეფერება ჩვენი დროის დემოკრატიულ წეს-წყობილებასა, მარტო უსამართლობასა და ბოროტ-მოქმედებასა ჰბადებსო. ამიტომ ემჯობინება, სულაც მოისპოსო.

გერმანია. გერმანიის ქვეშევრდომი პოლონელების გაჭირვებულ მდგომარეობას ყველამ ყურადღება მიაქცია. გაზეთები ხომ ყოველდღივ სწერდნენ, თუ გერმანიაში რა ნაირად სდევნიან პოლონელებს, და ეხლა ევროპის მთავრობებმაც მიაქციეს ყურადღება. ასე, მაგალითად, «კურიერ პოზნანსკი»-ს პარიზელი კორესპონდენტი იწერება: საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ განგებ ერთი მოხელე დანიშნა იმის შესასწავლად, თუ რა მდგომარეობაში არიან პოზნანის პოლონელები. მთელი განათლებული ქვეყნიერობა დიდად დააფიქრა პოლონელების სამწუხარო მდგომარეობამ: ფრანგული, იტალიური, შვედური, ჰოლანდიური, ესპანიური და პორტუგალიური გაზეთები ყველა დიდი თანაგრძნობით სწერენ პოლონელების საქმეზე. ამერიკული გაზეთებიც დიდად თანაუგრძნობენ პოლონელებს. უნგრელებზე ხომ თქმა აღარ უნდა. ყველა ეს დიდად აფიქრებს პრუსიის მთავრობასაც და პრუსიის გაზეთებსაც. იტალიელი დემოკრატების მოხუცებულმა მეთაურმა, გარიბალდის ამხანაგმა, უნგერინიმ ყველა დემოკრატებს პოლონელების საქმეზე წერილი მისწერა. ეს წერილი იმ ნაირადაა დაწერილი, რომ პრუსიის მთავრობასა და თითონ პრუსიელებსაც მაგდენად არ უნდა ეჭაშნიკოს.

✡ გვახსოვრებათ, რომ ბერლინის საბჭომ ქალაქის თავის თანაშემწედ კაუფმანი აარჩია. ამ არჩევანმა თურმე იმპერატორი ვილჰელმი ძალიან გაანაწყენა. იმპერატორს გარდა, მის ერთგულ გაზეთებისთვისაც გული დაუწყვეტია ამ ამბავს. მთავრობის დამქაში გაზეთი «კელნიშე ცაიტუნგ»-ი სწერს:

ან კი რა საშიში იყო, რომ იმპერატორი შეაწუხეს და ეს უსიამოვნო ამბავი მოახსენეს. კაუფმანის ხელმეორედ არჩევა ნამდვილად უკანონობაა; ამიტომ ობერ პრეზიდენტს მინისტრის დაუკითხავადაც შეეძლო კაუფმანის ბადლად თავის ძალით სხვა კაცი დაენიშნა. ობერ პრეზიდენტი იმიტომ დაეკითხა მინისტრს, რომ ქალაქის წარმომადგენლებს კეთილის თვალით უყურებს. მისი უდიდებულესობა, რასა თქმა უნდა, კაუფმანს არ დაამტკიცებს მაგრამ თუ ამას დასჯერდა და კიდევ სხვანაირად არ გამოიჩინა თავისი გულის წყრომა, ესეც მარტო იმას მივაწეროთ, რომ იმპერატორი ქალაქს უოველთვის წყალობის თვალით უმზერის.

ამაზე გაზ. «ფრანკფურტერ ცაიტუნგ»-ი უპასუხებს: «ჩვენ კონსერვატორებს რომ კარგად არ ვიცნობდეთ, ამ სიტყვებს ხუმრობაში ჩამოვართმევდით «კელნიშე ცაიტუნგ»-ს, მაგრამ, მაგარი კიდევ ისაა, რომ გაზეთის მოსაზრება მარტო იმაზეა დაფუძნებული, ვითომ კაუფმანის ხელმეორედ ამორჩევა უკანონო იყო. სამწუხაროდ, კანონით არაა აკრძალული ვისიმე ხელმეორედ ამორჩევა. «წყალობაზე» და «გულკეთილობაზე» ხომ ხმის ამოღება არც შეიძლება და არც საკადრისია. აქ კანონიერ უფლებაზეა ლაპარაკი და არა «წყალობაზე».

ავსტრო-უნგრეთი. გაზ. «ტან»-ს სწერენ პრაგიდან: «ჩეხი რეალისტების დასმაც გამოსცა თავისი მანიფესტი. ამ დასის მეთაურად ცნობილი ნიჭიერი პროფესორი მასარიკია. რეალისტები თავიანთ მანიფესტში პროტესტს უცხადებენ მლადოჩეხებს: ცუდ პოლიტიკას მისდევენ, ვერც რას არიგებენო. ლიბერალურ და დემოკრატიულ აზრებს უღალატეს და კლერიკალ სტაროჩეხებს მიემხრნენო. რეალისტები თხოულობენ: საყოველთაო ხმის უფლება დაწესდეს, გერმანელები და ჩეხები შეთანხმდნენ და ჩეხიაში ორივე ერმა დამოუკიდებლად იცხოვრონო: არც ჩეხები უნდა ემორჩილებოდნენ გერმანელებს, არც გერმანელები ჩეხებსაო».

სამხრეთ-აფრიკა. ლორდ კიტჩენერის პროკლამაციის ძალით ყოველი ბურის ქონება, ვინც კი 15 სექტემბრამდე მორჩილება არ გამოაცხადა, საჯაროდ უნდა გაიყიდოს. ბურების მთავარ სარდალ ბოტას გამოუცხადებია: ის ბური, ვინც გაჰბედავს და ამ ქონებას იყიდის, სიკვდილით დაისჯებაო.

✡ გაზ. «მატენ»-ს მეომარი ბურებისაგან წერილი მოუვიდა. ბურები სწერენ: «ზამთარში ჩვენ მეგობრებს იქნება იმედიც გადაუწყდათ, იქნება კიდეც ბრძოლა გათავდაო. ეხლა გაზაფხულდა და ომი ხელ-ახლად გაჩაღდა და გაძლიერდა. ეხლა ჩვენი მეგობრები დარწმუნდებიან, რომ ჩვენ არასდროს არა ვყოფილვართ ეგე ძლიერები, როგორც ეხლა. ტრანსვაალში და ორანჟის რესპუბლიკაში 15 ათასი მეომარი იქნება; ყველა ამ მეომრებს გადაწყვეტილი აქვთ, ან მოკვდეს, ან ჩვენ ქვეყანას დამოუკიდებლობა დაუბრუნოს. არაფერი არ გვაკლია: პური, იარაღი, სამხედრო მასალა,—ყველაფერი ბლომადა გვაქვს. მაგრამ ყველაზე დიდი იმედი კაპელი კოლონისტებისა გვაქვს. ყველა კაპელმა ჰოლანდიელმა გაიგო ეხლა, რომ ინგლისის მთავრობისაგან კარგს არას უნდა მოელოდნენ და ყველანი აიშალნენ. და რაკი ამათ იარაღს ხელი წაავლეს, ძლიერ მედგრად უნდა იბრძოლონ; უკან ვეღარ დაიხევენ: როგორც აჯანყებულებს, სიკვდილით დასჯა მოელით. მტკიცედ გვწამს, რომ დაბოლოს უსათუოდ ჩვენ გავიმარჯვებთ».

ღმერთმა ისე გაგიმარჯვოთ, როგორც თქვენი გული სთხოვდეს!

ინგლისი. ეკონომიურ ჟურნალ «სტატისტ»-ში საყურადღებო წერილი დაიბეჭდა. ამ წერილის ავტორი ამბობს: «ლიბერალურ პარტიაში უთანხმოება ჩამოვარდა და ამიტომ ოპოზიციის ძალა და გავლენა აღარა აქვს. თითონ ინგლისის ერმა დიდი მანიფესტაცია უნდა გამართოს და მთავრობას თავისი უკმაყოფილება გამოუცხადოს; მთავრობა მეტად უხეიროდ იქცევა, მისი გამოცვლა უსათუოდ საჭიროა. თუ ეს უნიჭო მთავრობა არ გამოიცვალა, ბურებთან ომს დასასრული არ ექნება. ჩვენი მრეწველობა, ვაჭრობა და კრედიტი მთლად დაეცემა; მუშები უსაქმოდ დარჩებიან, გაფიცვებს გამართავენ და არეულობას მოახდენენ. საზოგადოებამ მხნედ უნდა მოითხოვოს, რომ ჩვენი ქვეყნის საქმებს ნიჭიერი კაცები განაგებდნენ».

✡ «ნოვოსტი»-ს ლონდონელი კორესპონდენტი იწერება: «ამერიკის პრეზიდენტი მაკკინლეი რომ მოჰკლეს, აქაც ლაპარაკი დაიწყეს ანარქისტების წინააღმდეგ სასტიკი კანონები გამოვცეთო. მაგრამ ამ ლაპარაკს მალე თავი გაანებეს. შინაგან საქმეთა მინისტრს უთქვამს: ეხლანდელი კანონებიც საკმაოა, რომ მთავრობამ ანარქისტებს ბეჯითად თვალ-ყური ადევნოსო».

შვეიცარია. საფრანგეთიდან განდევნილი ბერები თურმე შვეიცარიაშიაც აპირებენ დასახლებას. მთავრობას განზრახვა აქვს ბერებს შვეიცარიაში დასახლება აუკრძალოს.

ახალი ამბავი

◆ გუშინ დილით 7 ს. და 45 წ. ბორჯომიდან ტფილისში ჩამობრძანდა მისი უმაღლესობა დიდი მთავრინა ელენე ვლადიმერის ასული. რკინის გზის სადგურზე მის უმაღლესობას მიეგებნენ ტფილისის გუბერნიის მარშალი თ. დ. მელიქიშვილი მეუღლით, ტფილისის გუბერნატორი, მაზრის მარშალი თ. ერისთავი, პოლიცმეისტერი და სხვები. სამეფო ოთახებში ჩაის მირთმევის შემდეგ მისი უმაღლესობა ბრძანდებოდა გამოფენაზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საოჯახო მრეწველობის განყოფილებას. აქ ყაზახ კარსევიდან თ. მელიქიშვილმა იყიდა ვერცხლის ხანჯალი და დოქი. მისმა უმაღლესობამ იყიდა ფხაკაძისაგან თიხის რამდენიმე ჰურჭელი. შემდეგ დიდი მთავრინა ბრძანდებოდა ნავთის მწარმოებელთა პავილიონში, სადაც მთელი პანორამა დაათვალიერა. გამოფენაზე მისს უმაღლესობას ახლდნენ აგრეთვე მთავარ-მართებელი გენ.-ადიუტ. თ. გოლიცინი და მისი თანაშემწე ბ. ფრეზე. გამოფენის დათვალიერების გათავების შემდეგ მისი უმაღლესობა წაბრძანდა ვოკზალზე და ათ საათზე საგანგებო მატარებლით ბალაჯრისაკენ გაემგზავრა. ბალაჯრიდან დიდი მთავრინა პეტერბურგს წაბრძანდება.

◆ გუშინ. 4 ოქტომბერს, კავკასიის ექიმთა საზოგადო კრებამ მოისმინა ქუთაისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმთა საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ დ. ნაზაროვის მოხსენება ამიერ-კავკასიაში **ერობის შემოღების საჭიროების** შესახებ და ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე ჩვენში საერობო დაწესებულებათა შემოღების შესახებ, რადგან ეს ერთად-ერთი გზაა, რომლითაც შეიძლება ხალხის ჯანმრთელობის საქმის რიგიანად დაყენება.

✦ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია დებულება ახლად განზრახულის **გლადიკავკაზის კადეტთა კორპუსისა.** როგორც სჩანს დებულებიდან, დაარსებული იქნება 500 სახაზინო სტიპენდია, რომელიც განაწილებული იქნება როგორც კავკასიის მკვიდრთა შვილებისა, აგრეთვე კავკასიაში მსახურ რუსთა შვილებს შორის. სტიპენდიები ასე განაწილდება: ა) სამხედრო პირთა შვილებისათვის—175 სტიპენდია; ბ) სამოქალაქო სამსახურის რუს და კავკასიის მკვიდრთა შვილებისათვის—42; გ) თავად-აზნაურთა შვილებისათვის: ტფილისის გუბ. და ზაქათალის მაზრისა—133, ქუთაისის გუბერნიისა—84, ერევნისა, ბაქოს და განჯის გუბერნიებისა—შვიდ-შვიდი, დაღესტნის, თერგის და ყუბანის ოლქებისა—შვიდ-შვიდი, დ) კავკასიის სამხედრო ოლქის უფროსის დანიშვნით—24.

✦ მკითხველებმა იციან, რომ **სასულიერო სასწავლებელში** არა სასულიერო წოდების პირთაგან მხოლოდ 10$^0/_0$ იღებენ. უწმ. სინოდს გადაუწყვეტია განაპირა ქვეყნებში არ იხელმძღვანელონ ამ წესით და არა სასულიერო პირთაგან რამდენიც შეიძლება, იმდენი მიიღონ სასულიერო სასწავლებელში, რათა ამით განათლება გავრცელდეს არა რუსთა შორის.

✦ კავკასიის ექიმთა კრებას მოუხდენია ორი საყურადღებო დადგენილება: 1) ეთხოვოს სათანადო მთავრობას, რათა დანიშნოს საგანგებო კომისია მალიარიის ავადმყოფობათა სამეცნიერო გამოკვლევისათვის და ეგრედ წოდებულ „მოსკიტების ტეორიის“ გამორკვევისათვის. კავკასიის ადმინისტრაციამ უნდა დაავალოს თავის ექიმებს, გამოგზავნონ ტფილისში დაავადმყოფებულ სისხლის პრეპარატები გამოკვლევებისათვის. 2) დაარსდეს განსაკუთრებული კომიტეტი პროსტიტუციის თვალ-ყურის სადევნებლად და გადაეცეს ამ თვალყურის გდების საქმე ქალაქის თვით-მართველობას.

✦ **მერძევეთა** და პირუტყვის მომშენებელთა კრებამ 3 ოქტომბერს განიხილა პირველად მოხსენება ქუთაისის ბეითალის ბ-ნ ლანგისა, რომელმაც მოიყვანა საზოგადო ცნობები, თუ ევროპაში და რუსეთში როგორ არის დაყენებული საქონლის ტუბერკულიოზის გამოკვლევისა და მისი წამლობის საქმე. მომხსენებლის აზრით, რადგანაც ეს გადამდები და მეტად მაზარალებელი ავადმყოფობა კავკასიაშიაც გავრცელებულია, საჭიროა მისი გამოკვლევის საქმე რაციონალურ ნიადაგზე იქმნეს დაყენებული. ბ-ნ ლანგეს მოხსენებამ დამსწრეთა შორის კამათი გამოიწვია; ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ ეს ავადმყოფობა გადამდები არ არის და არც უნდა იყოს კავკასიაში გავრცელებულიო და სხვა. კრებამ რამდენიმე ხნის კამათის შემდეგ გამოსთქვა, რომ სასურველია კავკასიაში საქონლის ტუბერკულიოზის გამოკვლევის საქმე რაციონალურ ნიადაგზე იქმნეს დაყენებული.

შემდეგ ალ. ა. ქალანთარმა ვრცლად ილაპარაკა ადგილობრივ ყველის—(ოსურისა, თუშურისა და სხ.) კეთების გაუმჯობესობაზე. უმთავრესად ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ადგილობრივი მეყველენი სუფთად არ აკეთებენ ყველს და ბევრ მარილსაც უშვრებიანო. ქალანთარის აზრით, რადგანაც მარილს მეტს უშვრებიან ყველს მხოლოდ მის შესანახავად, ამიტომ უკეთესი იქმნება ხალხი მიეჩვიოს განსაკუთრებულ საყინულეების გაკეთებას. ამ საყინულეებში შენახული ყველი უმარილოდ არ წახდება და სახმარებლადაც კარგი იქნებაო. კარგა ხნის კამათის შემდეგ კრებამ გამოსთქვა სურვილი, როგორც ეს 2 ოქტომბრის კრებაზედაც იყო, დაარსებულ იქმნეს საცდელი სადგური და აგრეთვე ინსტრუქტორთა ინსტიტუტი, სადაც ყოველს მსურველს შეეძლოს ნამდვილი ცნობები მიიღოს მეურნეობის ამ დარგის შესახებ.

✦ ტფილისის ქიმიურ ლაბორატორიის გამგემ ბ. გ. ალიბეგოვმა წარუდგინა მერძევეთა კრებას წინადადება ტფილისში **მერძევეთა კავშირის** დაარსების შესახებ ისე, როგორც ეს ევროპის ქალაქებში არსებობს. კავშირის მიზანი იქნება რძის პირდაპირ მომხმარებელზე გაყიდვა, რაც სასარგებლო იქნება როგორც გამყიდველისათვის,—კარგის ღირსების რძეს იყიდის—, ისე გამყიდველებისათვისაც—შუამავალ ვაჭარს თავიდან მოიშორებს.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის მინდობილებით აგრონომებმა ტიმოფეევმა და როლოვმა შეიმუშავეს **სიმინდის ჭიის** წინააღმდეგი ღონისძიებანი. ამათ შეადგინეს განსაკუთრებული სახელმძღვანელო, რომელიც ცალკე წიგნაკად გამოვა რუსულად და ქართულად. ეს წიგნაკები უფასოდ დაურიგდებათ ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ.

✦ მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულმა ბ. მედვედიევმა დანიშნა **საბაღოსნო სკოლის** მოწაფეთა ეგზამენების დასასწრებლად ტფილისის ბოტანიკურ ბაღის გამგე როლლოვი და ბ. გლასკო.

✦ როგორც სჩანს **ტფილისის რეალურ სასწავლებლის** მდგომარეობის ანგარიშიდან, ამ ჟამად სასწავლებელში 740 ბავში სწავლობს; ამათგან: რუსი—287, ქართველი—102, სომეხი—249, თათარი—17, ებრაელი—9 და სხვა და სხვა ერთა—76.

✦ წელს უწმ. სინოდს **ბევრი სტიპენდია** დაუარსებია სასულიერო სასწავლებლებში; მარტო კერძო შემოწირულებიდან შემდგარა 94.118 მან., რომლის პროცენტებიდან ახალი სტიპენდიანტები დაუნიშნავს.

✦ „ივერია“-ს შეუტყვია, რომ წელს ჩვეულებრივს **ქართულ საღამოს** მოსკოვში ჰმართავს 21 ოქტომბერს რუსეთის ცნობილი მწერალი ანტ. ჩეხოვი.

✦ ტფილისის გუბერნიის ადმინისტრაციამ გარდასწყვიტა ერთხელ კიდევ მისცეს წინადადება ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას **მეეზოვეთა ინსტიტუტის** და საადრესო სტოლის შემოღების შესახებ.

✦ უსახელო საზოგადოების **ტრამვაის** ახალმა დირექტორმა ბ. რაგოლერმა წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას ხსენებულ საზოგადოების გამგეობის რწმუნების ქაღალდი, რომლის ძალით იგი ინიშნება ტფილისის ტრამვაის დირექტორად.

✦ როგორც გადმოგვცეს, **ბორჯომის** მამულის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს გააუმჯობესოს ბორჯომში ცხოვრების პირობები.

✦ კვირას, 30 სექტემბერს, ტფილისის **ქალაქის გამგეობის** დარბაზში გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ციციშვილის აღმართის თვალ-ყურის გდება და ამ აღმართზე კლდის შემაგრება. კომისიას განსახილველად წარუდგინა ხარჯთ-აღრიცხვა ციციშვილის აღმართის შესაკეთებლად დახარჯულ ფულისა, რაც 1701 მან. 31 კაპ. შეადგენს. კომისიამ დაამტკიცა ეს ხარჯთ-აღრიცხვა და აგრეთვე გარდასწყვიტა, ჰყოლიოს მოიჯარადრე, რომელმაც წვიმის დროს კლიდან ჩამოცვივნულ ქვა-ხვინჯისაგან ასუფთაოს ქუჩა; კლდისა და აღმართის დაახლოვებით თვალ-ყურის გდება მიენდოს ნაწილის ტეხნიკოსს. ხალხის სასიარულოდ აღმართი დროებით იქნება გახსნილი, ვიდრე საბოლოვოდ განახორციელებენ ამ კლდის შეკეთების პროექტს. კომისიამ ამასთანავე გადასწყვიტა სთხოვონ საგუბერნიო ადმინისტრაციას, დანიშნონ ტეხნიკოსი აღმართკლდის დაწვრილებით დასათვალიერებლად.

✦ 2 ოქტომბერს, ტფილისის **სამოსამართლო პალატამ** დაამტკიცა ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც ტფილისის გუბერნიის მცხოვრებს ლუკა ეპიტაშვილს გარდაეწყვიტა ზოგიერთ უფლებათა ჩამორმევა და 8 თვის ვადით ციხეში დაპატიმრება. ეპიტაშვილს კაცის მძიმედ დაჭრა ბრალდებოდა.

✦ სოფ. გეჯეთიდან (სენაკის მაზრა) გვწერენ: „ავკაცობა, მოსპობის ნაცვლად, აქ თან და თან ძლიერდება. ამ თხუთმეტი დღის წინად აქაური ორი გლეხი გაძარცვეს; ესენი ახალსენაკში რაღაც საქმის გამო ყოფილან და ღამით მონავალან. 29 სექტემბერს აქ ერთ შეძლებულ გლეხს, გვარად ალასანიას, ხუთი შეიარაღებული კაცი დაეცა და წაართვეს ათი მანათი ფული და ერთი ბეჭედი. ამ გლეხს იქითა კვირას გაეყიდა ოთხასი ფუთი სიმინდი, მაგრამ ფული მყიდველისაგან არ აეღო. ამავე ღამეს იგივე პირები დაეცნენ მეორე შეძლებულ გლეხს—ი. კუპრეიშვილს წისქვილში, მაგრამ ვერაფერი უპოვეს, მხოლოდ წვრილი ფული ჰქონია 20 კ. და ის წაულიათ.

აქაურების ცხოვრების უმთავრესი სახსარი სიმინდია და ესეც ძრიელ ნაკლებად მოვიდა, ასე რომ ვინც წარსულ წლებში სიმინდს ყიდდა, დიდი იქნება სარჩოთ თუ ეყო. ადესის ღვინო წინაზედ ხომ მცირე მოდიოდა და წრეულს სულ გემოთაც არ უნახავთ“.

✦ ბ. იაკიმოვის **ქალაქის გამგეობის მდივნად** დანიშვნის შემდეგ ქალაქის თვით-მმართველობის სამდივნო შრომა ეგრე განაწილდა: ბ. კრელაშვილი შეასრულებს მდივნობას საბჭოს ყველა ეგრედ წოდებულ მომმზადებელ კომისიებში და ბ. იაკიმოვი საბჭოს აღმასრულებელ კომისიებში.

✦ უ. რუდოლოვიჩმა წარადგინა ტფილისის მუზეუმში ს. წებელდაში ნაპოვნი **ძველი ხანჯალი.**

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში, საღამოს 10 საათზე, ნიკოლოზის ქუჩაზე, აბულაძის სახლში, ევგენი ხელინისათვის მოუპარავს ვიღაც ბოროტ განმზრახველს 30 მან. ღირებული პალტო.

კავკასიის გამოფენა

VII

სასწავლო-საპროფესიონალო განყოფილება

მევენახეობა-მეღვინეობის განყოფილების გვერდით სასტუმრო ოთახია ძვირფასის ნოხებითა, ხალიჩებითა და ფარდაგებითა მოფენილი. ამ ოთახს რომ გაივლით, სასწავლო-საპროფესიონალო განყოფილებაში შეხვალთ. პატარა განყოფილებაა, მარცხენა მხარეს მოთავსებულა ბრმათა სკოლა, მარჯვენა მხარეს—ტფილისის მიხეილის სკოლა რკინის გზისა, შუა ადგილი კი დაუჭერია ტფილისის სამიწად-მზომელო სასწავლებელს და პეტრე-პავლეს საეკლესიო-სამრევლო სკოლას.

ბრმათა სკოლა ტფილისში დაარსებულა 1893 წელს. მაშინ სკოლა ნაქირავებ სახლში იყო და მხოლოდ 11 ბრმა ქალი ჰყავდა შეფარებული. დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის სახელობაზედ არსებულის სამზრუნველოს განყოფილებამ კავკასიაში, რომლის მეოხებითაა ბრმათა სკოლა ტფილისში დაარსებული, იმდენი იღონა, რომ ერთი წლის შემდეგ ბრმა-ვაჟების განყოფილებაც დააარსა და მას აქეთ კავკასიის სამზრუნველო სულ იმის ცდაში იყო, რომ ამ სკოლისათვის იმდენი საღსარი გამოეძებნა, თავისი საკუთარი სახლი შეეძინა. ცდამაც უნაყოფოდ არ ჩაიარა: 1898 წლისათვის იმდენი ფული შეაგროვეს, რომ მიმდინარე ხარჯებს გარეშე კიდევ დარჩა ნაღდი 49-ათასი მანეთი. შეუდგნენ თავისის წადილის ასრულებას და 1899 წლის აპრილის თვეში კიდევაც უკურთხეს საძირკველი თავის საკუთარ შენობას ავლაბარში. დღეს სკოლას მშვენიერი სადგომი აქვს, სადაც დაბინავდნენ შარშან მაისში. სკოლას აქვს სასწავლო ოთახებისა და პანსიონის გარდა—სახელოსნოები, აბანო და სხვ.

ამ წლის პირველ იანვარს სკოლაში იყო სულ 35 ბრმა მოსწავლე, ამათგან 14 ქალი და 20 ვაჟი, ერთიც მოზრდილი იყო მოსიარულე. მოსწავლენი ესე არიან დაყოფილნი: 2 მოსამზადებელი განყოფილებაა, 3 კლასი და ერთიც სახელოსნო განყოფილება, სადაც სამი წელიწადი უნდა ისწავლოს მოსწავლემ. წრეულს 15 კაციდან უნდა ცხრას გაეთავებინა სახელოსნოში სწავლა.

ახლა თუ გნებავთ იცოდეთ, რას ასწავლიან, ან როგორ ასწავლიან ბრმებს ამ სკოლაში, მიბრძანდით გამოფენაზე და დაათვალიერეთ ბრმათა ხელის ნაწარმოები. თვითონ რომ არ ჰხედავდეთ მშვენიერის მოხდენილობით იქვე მჯდომარე ბრმის მუშაობას, არც კი დაიჯერებთ, რომ იქ გამოფენილი ნივთები და საგნები ბრმის ხელმა გააკეთაო. კალათები, ჩოტკები ბევრ ნაირი, ქალთა ხელ-საქმის ნაწარმოები, ქსოვილები, ქანდაკება თიხისა და სხვ.—ყველა ესენი ცხადათ დაგიმტკიცებთ სკოლის დიდ ნაყოფიერებას. აქვე გამოფენილია ყოველგვარი სასწავლო ნივთი და სახელმძღვანელო ბრმათა სკოლაში სახმარებელი. განყოფილების გამგეა ბ-ნი თ. შოშინი, რომლის ხელ-მძღვანელობით პატარა ბრმები აქვე გამოფენაზე მოსულ სტუმრების წინ კითხულობენ, სწერენ, არითმეტიკაში ვარჯიშობენ და გეოგრაფიაში მკვირცხლ პასუხს იძლევიან. ყველა ამისათვის განსაკუთრებით ბრმათათვის სახმარებელი სახელმძღვანელოებია მოგონილი.

დიდი საქმეა ბრმაც ისე დაიახლოვოს თვალ-ხილულმა, რომ შეაჩვიოს თვით მოქმედებას და ნაყოფიერს შრომას, რომლის შემწეობით იგი თავის თავს იოლად გამოიყვანს ცხოვრებაში. ჩვენ მხოლოდ ის უნდა ვუსურვოთ ამ სკოლას, რომ მისი მოქმედება და კეთილი ღვაწლი იმდენად გაფართოვდეს, ბევრი ბრმა-მოწაფე შეიფაროს თავის კალთებ ქვეშ. ვისურვოთ სრული განვითარება იმიტომ, რომ ჩვენში მეტად ბევრია ბრმა მოზარდი: როგორც ოფიციალურის ცნობებიდან სჩანს, კავკასიაში ათი ათასზე მეტია ბრმა ორივ თვალებითა. თურმე ამაზე მეტი ბრმა, მთელი დანია, შვეცია, ბელგია და შვეიცარია რომ ავიღოთ, აქაც არ არის... მაშ რამდენი ყურადღება, რამდენი დაუღალავი შრომა და, უმთავრესად, რამდენი საშუალება გვმართებს გამოვიღოთ, რომ ჩვენი ბრმა შვილები, თუ ძმები ცხოვრების ჩარხის ტრიალში განვითარებულ მონაწილედ გავხადოთ!..

ბ-ნ შოშინს ფოტოგრაფიული სურათები გადაუღია ბრმათა შინაურის ცხოვრებიდან, ასე რომ ყველა ამას მნახველი ადვილად გაითვალისწინებს, მით უფრო, როცა აქვე ერთად პატარა ბრმების ხელის ნაწარმოებსაც ხედავს.

სამიწად-მზომელო სასწავლებელს ტფილისში წარმოუდგენია გამოფენაზე ამ სკოლის მოსწავლეთა ხაზვისა და პლანების გაკეთების ნიმუშები, აგრეთვე წერისა და დედა-მიწის ზედა-პირის უმაღლესისა და უმდაბლესის ადგილების გამოხაზვისა. საუცხოვოა ეს ნიმუშები და მეტად საყურადღებო; სჩანს, მეტის ბეჯითობით ექცევიან ამ საქმეს სასწავლებელში და ესეც უნდა იყოს.

მიხეილის რკინის გზის სასწავლებელსაც საქებური ნიმუშები აქვს გამოფენილი რკინისა თუ ხისა, ხაზვისა თუ ხატვისა და სხვ. საყურადღებოა აგრეთვე კოლექცია სხვადასხვა ხის ავადმყოფობის ნიმუშებისა და თესლისა.

ამ განყოფილების გვერდით მეაბრეშუმეობისა დ მეფუტკრეობის განყოფილებაა, მაგრამ ამაზე ხვალ.

—მე

**

მემამულე ონიკაშვილმა შემდეგი განცხადება შეიტანა გამოფენის კომისარიატში:

„რადგანაც ბ. შავროვი მტრულად მეპყრობა მე, როგორც მეფუტკრეობის განყოფილების ექსპონენტს, უმორჩილესად გთხოვთ დანიშნოთ ახალი კომისია, რომელშიაც წევრად არ იქმნება არც ბ. ნ. ნ. შავროვი და არც რომელიმე მისი მოხელე.

* *

გამოფენის მომწყობი კომიტეტი ამ დღეებში გამართავს ეგრედ წოდებულ „ყვავილთა დღესასწაულს». ყვავილების სეზონი აღარ არის, მაგრამ ნათქვამია „გაჭირვება მაჩვენე, და გაქცევას გაჩვენებო“.

* *

გუშინ სამეურნეო იარაღების საექსპერტო კომისია ყარაიაზში წავიდა ხსენებულ იარაღების გამოსაცდელად.

* *

გუშინ გამოფენის სამთა-მადნო განყოფილების საექსპერტო კომისია შეუდგა ხსენებულ განყოფილების ექსპონატების ექსპერტიზას. კომისიის თავმჯდომარეა ბ. ჩენგერი.

* *

გამოფენის კომისარიატმა მეორედ გამოსცა მიწად-მოქმედების განყოფილების კატალოგი.

პროვინცია

ქვემო რაჭა. აქამდის რაჭველებს თავი ბედნიერათ მიაჩნდათ, რადგანაც ქუთაისის გუბერნიაში ყველაზე გვიან ეწვია ჩვენს ვენახებს ვაზის მომსპობელი ჭირი, ფილოქსერა. ახლაც ბევრს არა სჯერა ამ სენის ძალა და მნიშვნელობა, მაგრამ ზოგიერთი მემამულე კი სწორედ დარწმუნდა, რომ ვენახები ისპობა სამუდამოთ. ვერ ნახავთ იმისთანა სოფელს, რომ ბევრი არ ჩიოდეს ყოველ წლობით ღვინის მოსავალი კლებულობსო, და სადაც ასი კასრი*) ღვინო მოდიოდა, იქ ათიც აღარ მოდის და ზოგან სულაც გახმა ვაზი და მოისპო ვენახი.

ამისთანა მაგალითები ჩვენში ბევრია, მაგრამ ხალხს კიდევ ვერ შეუგნია ფილოქსერის გაჩენის მნიშვნელობა და მისი შედეგი. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ფილოქსერიდან გამხმარ ვენახებში ხელ-ახლა ჩვენებურ ვაზს აშენებენ.

«რამ გახმო და მოსპო შენი მეზობლის ვენახში ვაზი»-თქო, ვკითხე ერთ გლეხს, რომელიც ადგილს ამზადებდა და ჰბარავდა ვენახის გასაშენებლად.—«რა ვიცი, შენი ჭირიმე, მიპასუხა იმან, «რადაცა ქილაფსერა გასჩენიათ ვაზს, მაგრამ ჩემს ახალშენს კარგად ვუწამლებ და, იმედია, ვერარაფერს დააკლებს ეს ვენახის ჭირი ქილაფსერა«.

ასეთი წარმოდგენა აქვს უმეტეს ნაწილს ჩვენში ფილოქსერაზე და რა გავამტყუნოთ იმაში, რომ არავინ ზრუნავს, რომ ამერიკულ ვაზზე ნამყენი გააშენოს.

დროა, ყველა დარწმუნდეს რომ მეტი წამალი არა არის-რა ფილოქსერის წინააღმდეგ.

წრევანდელი წელიწადი მაინც ძალიან საზარალო შეიქნა ქვემო რაჭისთვის. ჯერ საყოველთაოდ მცირე მოსავალი იყო პურის და ღვინის, და მერე დაისეტყვა რამოდენიმე სოფელი, ისე რომ ყურძენი საჭმელადაც არ იშოვებოდა...

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ქვემო რაჭაში გზების და ხიდების ცუდი მდგომარეობა ძალიან აწუხებს მცხოვრებლებს. ისეთი საჭირო ხიდი, როგორიც ს. ბუგეულში რიონის ხიდი არის, კარგი ხანია რაც დანგრეულა და ამ თვის პირველ რიცხვებში იარმუკობის დროს ქვეითათ თუ გავიდოდა ვინმე, თორემ ცხენსა და ხარებს არ უშვებდნენ და მგზავრები იძულებულნი იყვნენ რიონშა გასულ-გამოსულიყვნენ. და ერთი დაიხრჩო კიდევაც წყალში—იარმუკობის დროს აუარებელ ხალხის თვალის წინ.

ს. ამბროლაურში დიდი ხანია, რაც მდინარე კრიხულაზე ხიდი არ არის. სოფ. ხოტევში—ხოტეურაზე, ს. ნიკორწმინდაში და ახალ-სოფელში ჯერ ხომ შემოდგომა ახალი დაწყებულია და ახლავე ისეთი ტალახებია, რომ ცხენი მუცლამდის ეფლობა დაფში.

თუ კი ბევრი ათასები დაიხარჯა და ტყიბულიდან ნიკორწმინდამდის ნაქერალის მაღალ ქედზე მშვენიერი გზა-ტკეცილი გააკეთეს და ყურის გდებაცა აქვს ამ გზას, ადვილად მოსალოდნელი იყო, რომ ყურადღება და გაკეთება არ მოაკლდებოდა ამ გზას მერეც სოფ. წესამდის, სადაც ეს გზა უერთდება სამხედრო ოსეთის საფოსტო გზა-ტკეცილს, რომელიც ქუთაისიდან მიდის რაჭა-ლეჩხუმზე.

საჭიროა, რომ ამ მდგომარეობას, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მიექცეს.

მ. ა. წულუკიძე.

---

*) კასრი ორი ჩაფია.

საღამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 ოქტომბერი

პეტერბურგი. გამოცხადდა, რომ სამსუნის სანჯაყი და შავი ზღვის ნაპირი მდინარე იემილ-ირმაკსა და კიზილ ირმაკს შუა შავი ჭირის მხრივ საშიშრადაა ცნობილიო.

პორტსმუტი. დაღუპულა ნაღმიანი გემი „კობრა“-ს საქმეზე სასამართლომ დაადგინა: ეს გემი სხვა გემებთან შედარებით ცუდად იყო აშენებული და იმიტომ დაიღუპაო. სასამართლომ სინანული გამოაცხადა იმაზედ, რომ ზღვის სამინისტრომ „კობრა“ მიიღოო.

სიმლა. დანში ახალი ემირის მანიფესტი მიიღეს და საჯაროდ წაიკითხეს. მანიფესტში ნათქვამია: უფროსებმა და ხალხმა, თავიანთ უქვეშევრდომილესი ერთგულების ნიშანდ, ახალ ემირ ხაბი-ბულას განსვენებული ემირის ყორანი და მახვილი გადასცეს ხალიფა მასარ—ი—შერიფას ხეილთაო; ხაბი-ბულამ გადასწყვიტა, ხალხს კეთილად მოეპყრას, მამულის გადასახადი შეამციროს და ჯარში მოსამსახურეებს ჯამაგირი მოუმატოსო. ემირის გარდაცვალების ამბავს ყანდაჰარში არავითარი არეულობა არ გამოუწვევია.

დევიატინი. 3 ოქტომბერს, მდინ. ვიტეგრაზე ორლოვის გემი დაიღუპა.

კოვნო. 3 ოქტომბერს, ღამით გურბიჩის მაღაზიიდან ოქროს ნივთები მოიპარეს. ქურდებს მაღაზიის გვერდზე ცარიელი დუქნის კარი გაეღოთ, მაღაზიის კედელი გამოენგრიათ და 8000 მანეთის ნივთი წაეღოთ. მაღაზია ქურდობისაგან იყო დაზღვეული 10,000 მანეთად.

ბორისოგლებსკი. საერო კრებამ დაადგინა: საერობო თანხიდან 12,000 მან. გადაიდოს და ამ ფულით ორ სოფელში ორი ქსენონი გაიხსნას.

ბერლინი. გერმანიის ელჩი ლონდონში გაცფელდი ავადმყოფობს, ამიტომ ჰფიქრობენ, ალბად სამსახურიდან გავაო. ვის დაჰნიშვნენ მის მაგიერ,—ჯერ არავინ იცის.

კონსტანტინეპოლი. გუშინ ხონთქარმა საბერძნეთის ელჩი მიიღო და გამოუცხადა: უნდა საერთოდ ვეცადნეთ, რომ სავსებით შევთანხმდეთ, თუმცა ჩვენ ქვეყნებს შუა უამისოდაც კარგი ურთი-ერთობააო. ელჩმა აღუთქვა ჩემ მთავრობას შევატყობინებ, რომ ეგეთის კეთილის თვალით უყურებთ ჩვენ ქვეყანასაო.

პეკინი. იმპერატორის სახლობა 28 სექტემბერს ტუნივანფუში მოვიდა და ორიოდე დღეს დარჩება აქა.

ლონდონი. ელდერშოტიდან დეპეშა მოვიდა: დურგემისა და ვარსესტერმირის პოლკები დიდი ხანია გადაკიდებულები იყვნენ. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ნამდვილი ჩხუბი მოუვიდათ; ჯარის კაცებმა ხიშტები იხმარეს და თოფებიც გაისროლეს. ვარსესტერმირის პოლკის ჯარის კაცები ხიშტებით დეეცნენ დურგემის პოლკის ყაზარმას და შუშები მთლად დაუმსხვრიეს. დურგემის პოლკის ჯარის კაცებში 5 დასჭრეს. მოჩხუბარნი ბოლოს სადარაჯო რაზმებმა და სამხედრო პოლიციამ გააშველა. სასამართლომ კრება მოახდინა, რომ ეს საქმე გამოიძიოს.

რედაქტორი ალ. ჭყონია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

მოწოდება

—

საქართველოს ერმა მრავალი ტანჯვა-ვაება გამოიარა სამშობლოსა და სარწმუნოების დასაცველად მეშვიდე და მერვე საუკუნოებში იმ ხალხთაგან, რომელნიც მათ მახლობლადა სცხოვრობდნენ და ყოველი ღონის ძიებითა სცდილობდნენ საქართველოს დაპყრობასა და მის მკვიდრთა გამაჰმადიანებას. მცირედი რიცხვი საქართველოს მკვიდრთა მედგრად ებრძოდ მტრის აღურაცხელს ლაშქარს და უკანასკნელს სისხლის წვეთსაც არ იშურებდა სამშობლოსა და სარწმუნოების დასაცველად. საქართველოს ისტორია ნათლად გვიხატავს, თუ როგორა მრავლდებოდა ამ საუკუნოებში მოწამეთა რიცხვი, რომელთაც ვერ აშინებდა მტერთაგან მრავალგვარი სასტიკი ტანჯვა და ვერ ითათბირებდა მწვალებელთა ცბიერება და მათ მიერ ქვეყნიური დიდების აღთქმა, არამედ სიხარულითა და მამაცად ეგებებოდნენ ყოველნაირს სასჯელსა და წამებას. თვით ქართველნი მეფენიც კი, ეომებოდნენ-რა მტერს საქართველოს მკვიდრთა კეთილ დღეობის დასაცველად, ხშირად იძულებულნი იყვნენ მოწამებრ დაეღვარათ სისხი თვისი ქრისტეს სარწმუნოებისათვის, რადგანაც მათნი მებრძოლნი იყვნენ იმავ დროს აგრეთვე მტერნი ქრისტესნი. მეფეთა მოწამეთა შორის პირველობა ეკუთვნის წმიდა მეფე არჩილ II, რომელიც 718 წ. 20 მარტს ეწამა არაბთა წინამძღოლის ჰიჰუმაზიმის მიერ, რომელმაც ვერ შეიძლო ენითა ლიქნითა და ნიჭთა აღთქმითა არჩილის სარკინოზად მოქცევა და მისგან ქრისტეს სარწმუნოების დატევება, რისთვისაც, მისის ბრძანებით, მახვილითა თავის მოკვეთით აღესრულა წმიდა არჩილი. იგი მოემადლა ერსა თვისსა წყაროდ კურნებისად და იქმნა დასაბამ წამებითა მეფეთა შორის, გვირგვინად საქართველოს მართლ-მადიდებელის ეკკლესიისა.

გაიგეს რა წამება წმიდისა მის ნათესავთა და ქვეშევრდომთ გოდერძიანთ ტბერთ, მისის ცოლის თხოვნით, მოვიდნენ და მოიპარეს გვამი წმიდისა მეფისა ღამე წამების შემდეგ; წამოიღეს და შემურეს იგი დიდითა პატივითა და დაკრძალეს თიანეთის მაზრის სოფელს ნადოკრას მახლობლად ეკკლესიაში, რომელიც აღაშენა თვით არჩილმა თავისს განსასვენებლად.

წმიდა საქართველოს ეკკლესიამ ჩაჰრიცხა მეფე არჩილ II წმიდათა მოწამეთა შორის და მისს ხსენებას ასრულებს 21 ივნისს.

20 მარტს ამა 1900 წლისას შესრულდა 1182 წელიწადი, რაც წმინდა არჩილი, მეფე სრულიად საქართველოსი, ქრისტეს სარწმუნოებისათვის ეწამა ჰიჰუმის მიერ და დაკრძალულ იქმნა ხსენებულს ეკკლესიაში. ეკკლესია ესე, სავანე წმიდა გვირგვინოსანის მეფისა, ამოდენა ხნის განმავლობაში, ჟამთა ვითარებისა გამო, ყველასაგან უყურადღებოდ დატოვებული, მოვიდა სიძველეში და აუცილებლად საჭიროებს შეკეთებას. ადგილობრივ მკვიდრთ, სიღარიბისა გამო, არ შეუძლიანთ შესაფერად გაამშვენიერონ ეს ეკკლესია—სავანე უძლეველის ქრისტეს მხედრისა—ისე, რომ მასში შეიძლებოდეს აღსრულება ღვთის მსახურებისა. თიანეთის მაზრის პირველ საბლაღოჩინოს ოლქის სამღვდელოებამ საჭიროდა სცნო წმიდა მეფის არჩილის საფლავზედ ახალი ეკკლესიის აშენება და, იქონია-რა მხედველობაში ადგილობრივ მცხოვრებთა სიღარიბე-შეუძლებლობა, თვისის ბლაღოჩინის მ. ვლადიმირ გძელიშვილის შუამდგომლობით ნება-რთვა აიღო მისის მაღალყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის ფლაბიანესაგან, მოიკრიბოს მთელს საეგზარხოსოში შეწირულებანი ამ წმიდანის საფლავზე შესაფერის ახალის ტაძრის აღსაშენებლად, რისთვისაც მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ, საქართველოს ეგზარხოსმა ფლაბიანემ, დაამტკიცა კომიტეტი ბლაღოჩინის მღვდლის მამა გძელიშვილის თავმჯდომარეობით.

მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ხსენებული კომიტეტი მოგმართავთ ამ მოწოდებით და უმორჩილესად გთხოვთ ყველას შეძლებისამებრ აღმოგვიჩინოთ შემწეობა შემოწირულებით, რათა კომიტეტმა შეიძლოს განაახლოს თვით მოწამისაგან აღშენებული ეკკლესია, ანუ აღაშენოს მთლად ახალი, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, წმიდანის ნაწილების შესაფერად დასაცველად და მით დაუვიწყარ-ჰყოს შთამომავლობისათვის ადგილი წმიდა მეფის არჩილ II განსვენებისა, რომელმაც მინდობითა ღვთისათა აღირჩია თავისა თვისსა დადება სახსრად ქრისტიანეთა და უმაგალითო ვნება ევაჩვენა მეფეთა შორის წამებითა,—ეწამა-რა ქრისტეს საარწმუნოების გულისთვის ჰიჰუმ-აზიმის მიერ. ყოველივე შემოწირულებანი, ფულით იქნება თუ ნივთებით, ცოტა თუ ბევრი, დაფარული თუ ცხადი, კომიტეტისაგან მიღებულ იქმნება დიდის მადლობით. ვეცადნეთ ყველანი, განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა, ქრისტეს მოყვარენო კეთილის მყოფელნო და ღვთის მოსავნო ქველის მომქმედნო, მკვიდრნო ივერიისანნო, შეერთებულის ძალით აღვაშენოთ ტაძარი წმიდანის საფლავზე და მით დაუმტკიცოთ შთამომავლობას, რომ ჩვენთვის დაუვიწყარ არს ხსენება წმიდა გვირგვინოსანის მეფის არჩილ II, რომელიც დავიწყებისა საფლავმან დაჰფარა და რომელმანც განუღო კარი წამებისა მეფეთა მოწამეთა და იქმნა გვირგვინად ეკკლესიისა, დასდვა რა თავი თვისი ქრისტეს სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის. ნუ დაიშურებთ ნურავინ მოწყალებას ამა კეთილი საქმისთვის, რამეთუ: „მოწყალება სიკვდილისაგან იხსნის, ხოლო ესე და ცოდვათა განსწმენდს, და ჰყოფს პოვნასა მოწყალებისა და საუკუნეთა ცხოვრებისა“. ამინ (ტობ. 12, 9).

შემოწირულებანი გამოიგზავნება თიანეთში კომიტეტის თავმჯდომარის ბლაღოჩინის მღ. ვლადიმირ გძელიშვილის სახელობაზე და კომიტეტის მიერ ყოველივე შემოწირულების რაოდენობა გამოცხადებულ იქმნება ადგილობრივის გაზეთების საშუალებით თავისს დროზე.

კომიტეტის თავმჯდომარე: ბლაღოჩინი მღვდელი ვლადიმერ გძელიშვილი.

საქმის მწარმოებელი: მღვდელი ნიკოლოზ კასიშვილი.

АДРЕСЪ: „Тіонеты, Тифлисск. губ., Благочинному Свящ. Владиміру Гдзеліеву“. (1—1)

ახალი წიგნი

სამეგრელოს აღწერა

არქანჯელო ლამბერტისა

იტალიურით ნათარგმნი

ალექსანდრე ჭყონიასი

(სამეგრელოს რუკით)

ფასი 1 მანეთი

დაბეჭდილია მცირეოდენი ცალი და იყიდება მხოლოდ: ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში და ქართველთა ამხანაგობის კიოსკში და ქუთაისში—ჭილაძის და ბეჟინეიშვილის მაღაზიებში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Октября 1901 г.
ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობისა.